ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N23

ქ. თბილისი 26.01.2018 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური" (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გიგაურის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ქარგილი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის მერაბ თავართქილაძის სახით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა თვე.

1.4. "შემსყიდველი" -ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურისათვის" სპეცტანსაცმელი დათბილული კოსტუმი - 3 ცალის შეძენა.

დანაყოფის კოდი: CPV 18410000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურე-ბასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს საბოლოოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტს და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციას.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი საქონლი.

6. მომსახურების ვადა და ადგილი

6.1. საქონლის მიწოდების ვადებია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 5 დღის განმავლობაში.

6.2. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი. გამრეკელის ქ.N19.

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი საქონელი.

ბ) შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანხმლები დოკუმენტაციის წარდგენა.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს განახორციელებს ა(ა)იპ,, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის 'სამსახურის" დირექტორი დავით გიგაური.

8.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინე-ბული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდე-ბლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრუ-ლების შეწყვეტის შესახებ

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულე-ბლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 მარტამდე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ ,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის	შპს ,,ქარგილი"
კეთილმოწყობის სამსახური"	მის: ქ.თბილისი. გამრეკელის ქ.N19
მის: დ.სტეფანწმინდა დ.ღმაშენებლის N9	ტელ: 322 31 30 65
ტელეფონი 599 98 24 65	საიდენტიფიკაციო კოდი: 205257210
საიდენტიფიკაციო კოდი 441484323	ს.ს. ,,თიბისი ბანკი''
სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი: TBCBGE 22
	ა/ა GE42TB0547836080100005

ხელმოწერა _____ /ბ.გიგაური/

ხელმოწერა _____ /მ.თავართქილაძე/

მიღება-ჩაბარების აქტი N23

ქ. თბილისი 26.01.2018 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური" ს/კ 441484323 წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გიგაურის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი'') და მეორეს მხრივ, შპს ,,ქარგილი" ს/კ 205257210 წარმოდგენილი მისი დირექტორის მერაბ თავართქილაძის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2018 წლის 26 იანვარს, ჩვენს შორის გაფორმებული N23 ხელშეკრულების შესაბამისად, მიმწოდებელმა ჩააბარა, ხოლო შემსყიდველმა ჩაიბარა: სპეცტანსაცმელი დათბილული კოსტუმი - 3 ცალი, რომლის ღირებულება შეადგენს - 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარს.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერებით.

შემსყიდველი

ა(ა)იპ ,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის

კეთილმოწყობის სამსახური"-ს

დირექტორი: /დ.გიგაური/

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური * 441484323

მიმწოდებელი

შპს ,,ქარგილი''-ს

დირექტორი: /მ. თავართქილაძე/

„ქარგილი" * „QARGILI" LTD * 205257210